უეფა–ს თასზე

თბილისი "ლოკომოტივის" სტადიონი 13 სექტემბერი.

"დინამო" (თბილისი) – "ტვენტე 65" (ენსხედე) 3:2 (1:1)

"დინამო": გოგია, ძოძუაშვილი, ჭელიძე, ხურცილავა, ხინჩაგაშვილი, პეტრიაშვილი, მაჩაიძე, ასათიანი, გუცაევი (ლ. ნოდია) გ. ნოდია, ყიფიანი.

"ტვენტე–65": შრაივერსი, ვან ირსელი, დე ფრისი, დროსტი, ორანენი, ვ. ვან დენ კერკჰოფი (ნოტენი), ახტერბერგი, ვან დენ ვალი, რ. ვან დენ კერკბოფი, იორინგი, პალპლაცი (ჰიუფე).

მსაჯი ე. პაპავასილიუ გვერდითი მსაჯები: დ. ვულგარისი და ა. მასკატოსი (სამივე – საბერძნეთი).

უეფა–ს თასის გათამაშება ერთ–ერთი ავტორიტეტული ტურნირია და, ამდენად, თბილისის "დინამოს" დებიუტი ოფიციალურ საერთაშორისო შეჯიბრებაში ფეხბურთის მოყვარულთა უზომო ინტერესს იწვევდა.

დინამოელები მინდორზე საბრძოლო შემადგენლობით გამოვიდნენ და მაყურებელი სამართლიანად მოითხოვდა მათგან უმაღლესი კლასის თამაშს. გულახდილად უნდა ვაღიაროთ, რომ გამარჯვების მიუხედავად, თბილისელთა ტაშმა მაყურებელი ვერ აღაფრთოვანა.

თავი დავანებოთ იმას, რომ დინამოელებმა ვერ გამოიყენეს მეტოქის კარის აღების რამდენიმე კარგი შანსი. შეიძლებოდა დავკმაყოფილებულიყავით ჰოლანდიელთა კარში გატანილი სამი გოლით, მაგრამ შეშფოთებას იწვევს დაცვის სუსტი, მოუქნელი თამაში. მეტოქეთა მიერ გატანილი ორი ბურთი მთლიანად მცველთა ნამუსზეა. მეკარის შესანიშნავ თამაშს უნდა ვუმადლოდეთ, რომ ჩვენს კარში მეტი ბურთი არ აღმოჩნდა.

ასევე უნიათოდ გამოიყურებოდა ნახევარდაცვაც. თავდასხმაში საუკეთესო იყო გ. ნოდია. საქმე მარტო ის როდი გახლავთ, რომ მან ორი ბურთი გაიტანა. აღსანიშნავია ის დაუღალავი მონდომებული თამაში, რითაც ნოდია მუდამ გამოირჩევა. ამ მატჩში მან დრიბლინგის მაღალი ოსტატობაც გამოავლინა.

დინამოელთა თამაშში არ იგრძნობოდა მათთვის ჩვეული მაღალი ტემპი, სწორედ ეს დუნე თამაში გახლდათ, ჩვენი აზრით, მათი ერთ–ერთი ტაქტიკური შეცდომა, რამაც მნიშვნელოვანწილად განაპირობა მატჩის შედეგი.

ბურთები კი ასე გავიდა: მე–4 წუთზე სტუმრებმა კუთხური ჩამოაწოდეს და იორინგმა თავური დარტყმით ანგარიში გახსნა. 22–ე წუთზე გ. ნოდიამ კარგად შეარჩია ადგილი და ანგარიში გაქვითა. 52–ე წუთზ იმავე ნოდიამ ბრწყინვალე დარტყმით მეორე გოლი გაიტანა. 75–ე წუთზე ლ. ნოდიამ კარის გასწვრივ ჩააწოდა ბურთი და ყიფიანმა მესამედ აიღო ჰოლანდიელთა კარი. 2 წუთის შემდეგ კი სტუმრებმა ისარგებლეს დინამოელთა მცველების შეუთანხმებელი მოქმედებით და ანგარიშში სხვაობა შეამცირეს.

ამ გუნდების განმეორებითი მატჩი 27 სექტემბერს შედგება ენსხედეში.

ა. მხეიძე
”ლელო” 14 სექტემბერი 1972 წ.